დღეს ნომერში

გვესაუბრება პარტიის რაიკომის მდივანი — მე-2 გვ.

თასების მფლობელთა თასი—გელგიის ფეხბურთელებს — მე-3 გვ.

თბილისის მთავარ ტრეკზე — მე-4 გვ.

სურათზე: თბილისის „დინამოს“ და ლენინგრადის „ზენიტის“ მერვედფინალური მატჩის მომენტი სსრ კავშირის თასზე. გარღვევაზეა დინამოელი ვ. გუცაევი.

ი. იუნაევის ფოტო.

(მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 89 (5639)

1976 წ. 8 მაისი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ზ. ჯაფარიძე კიევიდან ტელეფონით გვატყობინებს

ცხარე ბრძოლები ტატამზე

თ. ხუბულურმა ოქროს მედალი მიიღო, გ. ონაშვილი II ადგილზეა

ძიუდომ დიდი პოპულარობა და გავრცელება რომ პოვა მთელ მსოფლიოში, ეს კიევში გამართულმა ჩვენი კონტინენტის ჩემპიონატმაც დაამტკიცა: უკრაინის დედაქალაქში საასპარეზოდ ჩამოვიდა 23 ქვეყნის 200-ზე მეტი სპორტსმენი.

ჩემპიონატის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ შეჯიბრების პრეს-ცენტრში აკრედიტებულია ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, ესპანეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის რადიოს, ტელევიზიისა და ჟურნალ-გაზეთების 140 წარმომადგენელი.

ახლა შეჯიბრების მსვლელობის შესახებ.

საშუალო წონით კატეგორიაში ერთმანეთს ებრძოდა 30 მეტოქე. მათ შორის ბევრი იყო ტიტულიანი სპორტსმენი — ევროპის ორგზის ჩემპიონი, ფრანგი კოშე, ევროპის ჩემპიონები — პოლონელი რეიტერი, ინგლისელი ჯაქსი, საბჭოთა ათლეტები ხაბულიანი და ციუპაჩენკო. საბჭოთა ნაკრების ორივე წევრისთვის კიევის ტატამი უიღბლო გამოდგა: ქართველმა ათლეტმა ვერა და ვერ შეძლო ხელთ ეგდო ბრძოლის სადავეები დასავლეთგერმანელ მისალასთან. მართალია, იგი ერთხანს დაწინაურდა 2 ქულით, მაგრამ შემდეგ უპირატესობა დათმო და დამარცხდა. ქართველ სპორტსმენს სანუგეშო ჯგუფში წარმატებით გამოსვლის შემდეგ შეეძლო საპრიზო ადგილისთვის ბრძოლა იმ შემთხვევაში, თუ მისი მჯობნი მისალა ყველა შეხვედრას მოიგებდა და ფინალში გავიდოდა. მაგრამ ასე არ მოხდა: დასავლეთგერმანელი დამარცხდა გდრ-ის წარმომადგენელ ჰაინკესთან და ამით, ისევე როგორც თავის თავს, ხაბულიანსაც მოუსპო წარმატების იმედი.

ამ წონაში დაწინაურდნენ კოშე, რეიტერი, ადამჩიკი (პოლონეთი) და ობადოვი (იუგოსლავია). მათს შეხვედრებს უნდა დაესახელებინა ჩემპიონი. „ა“ ჯგუფის ნახევარფინალურ ეტაპზე ადამჩიკმა სძლია ულჩს (გდრ) და დაელოდა მთავარ მეტოქეს „ბ“ ჯგუფიდან. აქ გადამწყვეტი იყო რეიტერისა და კოშეს შერკინება, რომელიც ფრანგმა მოიგო.

ფინალური შეხვედრა საინტერესო გამოდგა. კოშე დაწინაურდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ფრანგი მიღწეულს დასჯერდა და ჭიდაობის დამთავრებას ელოდებაო. ამ მომენტით ისარგებლა ადამჩიკმა, შეუტია მეტოქეს, რამდენიმეჯერ სცადა ილეთის ჩატარება, მაგრამ კოშემ უეცარი კონტრილეთით 2 წუთსა და 43 წამში წმინდა გამარჯვება მოიპოვა და ჩემპიონიც გახდა.

ქვემძიმე წონით კატეგორიაში ბრწყინვალედ იასპარეზა ხუბულურმა. ჯერ იყო და კარგი სტილით, ქართული ჭიდაობის ილეთების გამოყენებით, მან ადვილად დაამარცხა იტალიელი ვერი, შვეიცარიელი რეტლისბერგერი და ლუქსემბურგელი შიოლდე. ევროპის შარშანწინდელ ჩემპიონთან, იუგოსლაველ კუბელასთან მოგებას მან სულ რაღაც 15 წამი მოანდომა.

ფინალში ქართველი მოჭიდავის მეტოქე იყო ძიუდოში ჯერ კიდევ უცნობი ბელგიელი ვან დე ვილი, რომელიც არც ისე ხელწამოსაკრავი მეტოქე გამოდგა. გორელი სპორტსმენი ბევრს ეცადა ქართული ჭიდაობის ფანდზე წამოეგო ბელგიელი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია — ვან დე ვილი თავს კარგად იცავდა, თვითონ კი არ ცდილობდა ილეთის ჩატარებას. ფინალური შერკინებისთვის განკუთვნილი 10 წუთი უშედეგოდ დამთავრდა და ახლა არბიტრს უნდა ეთქვა გადამწყვეტი სიტყვა. გამარჯვება ხუბულურს მიეკუთვნა და სრულიად სამართლიანადაც: იგი სულ იერიშზე იყო, ერთხელაც არ დაუხევია უკან.

მძიმე წონაში კარგად დაიწყეს ტურნირი საბჭოთა ნაკრების წარმომადგენლებმა — თბილისელმა გ. ონაშვილმა (გამოდიოდა „ა“ ჯგუფში) და კიეველმა ს. ნოვიკოვმა („ბ“ ჯგუფი). ქართველმა ფალავანმა სტარტზე წმინდა გამარჯვება მოიპოვა ნოვაკთან (ჩეხოსლოვაკია). საინტერესო გამოდგა ონაშვილის შეხვედრა ფრანგ ტრიპესთან. საინტერესო იმით კი არა, რომ ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ტოლფასოვანი მეტოქეები. ფრანგი ქართველ სპორტსმენზე გაცილებით დაბალი ტანისა და ნაკლები წონისაა (ტრიპეს წონაა 94 კგ, სიმაღლე — 170 სმ, ონაშვილისა — 127 კგ, 192 სმ), მაგრამ ამ ნაკლს სიფიცხითა და გამბედაობით ინაზღაურებდა. ტრიპემ თავი არ შეირცხვინა, ბოლომდე იბრძოლა და ქულებით წააგო.

ონაშვილის შემდეგი მეტოქე იყო უნგრელი პეტროვსკი. ამ შეხვედრაში უფრო აქტიურობდა ქართველი სპორტსმენი. ყველა ელოდა, რომ შეხვედრას ქულებით მოიგებდა ონაშვილი, მაგრამ ჭიდაობის დამთავრებამდე 31 წამით ადრე ქართველმა ძიუდოისტმა მახრჩობელა ილეთით წმინდა გამარჯვება მოიპოვა და ფინალში გავიდა, სადაც მას ნოვიკოვთან გადამწყვეტი შეხვედრა ელოდა.

თავის ჯგუფში წარმატებით იბრძოდა ნოვიკოვიც. მან ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო.

და აი, ფინალი: ნოვიკოვი — ონაშვილი. მისცეს თუ არა ჭიდაობის დაწყების ნიშანი, მეტოქეებმა ერთმანეთს ხელები ჩაავლეს და მსაჯის გაფრთხილებამდე ფეხი არ მოუცვლიათ ადგილიდან. არც შემდეგ უცდიათ აქტიურობა. ერთი კი იყო, ონაშვილს ფეხი სტკიოდა. მსაჯები იძულებული გახდნენ მეტოქეებისთვის რამდენიმეჯერ მიეცათ შენიშვნა და გაფრთხილება პასიური ჭიდაობისთვის. შეიქმნა საშიშროება, რომ ორივეს წაგებას ჩაუთვლიდნენ. და აი, ამ მომენტში, ნოვიკოვმა მოგვერდით ტატამზე დასცა ონაშვილი და წმინდა გამარჯვებას მიაღწია.

ახალი ამბები-76

● ოდესა, 5 მაისი. ტრადიციული „შავი ზღვის ველოტური“ მფრინავი-კოსმონავტის, საბჭოთა კავშირის გმირ გ. დობროვოლსკის პრიზზე ოდესის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. ამ კოლექტივის წარმომადგენელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლ. ტრიშინი საუკეთესო იყო პირად ჩათვლაში. 650 კმ მან 14 საათში, 23 წუთსა და 54 წამში დაფარა.

● ბუქარესტი, 6 მაისი. რუმინეთის რეგბისტთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატში ბოლო მატჩი ჩაატარა — ანგარიშით 16.7 სძლია ესპანეთის ეროვნულ გუნდს, მაგრამ უძლიერესის წოდება დაკარგა, წინა დღეს ანგარიშით 12:13 წააგო შეხვედრა იტალიელებთან. საბოლოოდ რუმინეთის გუნდმა თავისთვის უჩვეულო, III ადგილი დაიკავა. კონტინენტის ჩემპიონის სახელი კი მეათედ მოიხვეჭა საფრანგეთის ნაკრებმა. ამ, რიგით XII ჩემპიონატში, ვერცხლის მედლები პირველად მოიპოვეს იტალიელმა რეგბისტებმა.

● კლუჟი, 6 მაისი. აქ დიდ ინტერესს იწვევს რუმინეთის თასის ღია გათამაშება წყალბურთში. საბჭოთა ნაკრებმა წარმატებით აიღო სტარტი — ანგარიშით 9:4 აჯობა ავსტრალიის გუნდს, მაგრამ შემდეგ დამარცხდა უნგრელებთან — 4:5. ამ გამარჯვების შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო უნგრეთის ნაკრებმა, რომელმაც პირველ ტურში ანგარიშით 4:1 სძლია რუმინეთის მეორე ნაკრებს. მასპინძელი ქვეყნის პირველმა ნაკრებმა შეჯიბრების სტარტზე მოუგო კუბელებს — 7:4. მეორე ტურში რუმინეთის მეორე ნაკრებმა ფრედ (6:6) დაამთავრა შეხვედრა კუბელებთან, ხოლო ავსტრალიის გუნდმა ბულგარელებს სძლია — 4:3.

ახალი ამბები-76

მე-19 წევრი

ჩვენი გაზეთის 22 აპრილის ნომერში მოთავსებულია წერილი „ოთხასიანთა კლუბი“. იქ ლაპარაკია ძალოსნებზე, რომლებმაც 400-კილოგრამიან ზღვარს გადააბიჯეს. ასეთი სპორტსმენი მსოფლიოში თვრამეტი იყო.

ახლახან ამ კლუბს მე-19 წევრი შეემატა: „ავანგარდის“ სპორტსმენთა შეჯიბრებაში ს. რახმანოვმა ორჭიდში 410 კგ დააგროვა.

რეკორდები

არნემი. ჰოლანდიის ამ ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში ჰოლანდიელმა მძლეოსანმა ი. ჰერმენსმა ერთ გარბენში მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა — 20 კმ 57 წუთსა და 24,2 წამში დაფარა, ხოლო ერთსაათიან ასპარეზობაში უკან მოიტოვა 20 კმ, 944 მ და 40 სმ.

ისტორიაში მეორე შედეგი

სპლიტი. იუგოსლავიის ამ ქალაქში ჩატარდა მასპინძელი ქვეყნის, გდრ-ისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა მატჩი, სადაც ნაჩვენებია რამდენიმე მაღალი შედეგი. ხუთჭიდში ზ. ტონმა (გდრ) 4813 ქულა მოაგროვა და თანაც 680 სანტიმეტრ სიგრძეზე გადახტა. ეს მხოლოდ 4 სანტიმეტრით ჩამორჩება ჰ. როზენდალის (გფრ) მიერ 1970 წელს დამყარებულ მსოფლიო რეკორდს და მეორეა ამ სახეობის ისტორიაში.

100 მეტრზე რბენაში ლანემენმა (დიდი ბრიტანეთი — 11,21) შტეჰერს (გდრ) 0,02 წამით აჯობა. შტეჰერმა მოიგო 200 მეტრზე რბენა — 22,69. გერმანელ ქალთა გამარჯვებით დაამთავრა სიგრძეზე ხტომა (ფოგტი — 661 სმ), სიმაღლეზე ხტომა (კირსტი და აკერმანი — ორივე — 187 სმ), ბირთვის კვრა (ადამი — 20,83), ბადროს ტყორცნა (ჰინცმანი — 65,60) და შუბის ტყორცნა (ფუქსი — 63,06).

ვაჟთა შედეგებიდან აღსანიშნავია უროს ტყორცნაში ზაქსეს მაჩვენებელი 76,40 მ.

ფინალში: ცსკა და „დინამო“

5 მაისს ცსკა-ს სპორტის სასახლის ყინულის სარბიელზე გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები. ჯერ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „დინამო“ და „სპარტაკი“, მერე კი მოედანზე გამოვიდნენ ასევე მოსკოვის კოლექტივები: ცსკა და „კრილია სოვეტოვი“.

პირველი მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა და დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:1 (1:1, 0:0, 1:0).

შაიბები გაიტანეს: დინამოელთაგან — პლიუშჩევმა და დევიატოვმა; სპარტაკელთაგან — იაკუშევმა.

მეორე შეხვედრა ჩატარდა არმიელთა დიდი უპირატესობით, რომლებმაც მეტოქის კარში 10 შაიბა გაიტანეს. მატჩის ანგარიშია 10:3 (4:2, 1:1, 5:0).

შაიბები გაიტანეს: არმიელთაგან — პეტროვმა (3), მიხაილოვმა (2), ლუტჩენკომ (2), ალექსანდროვმა, ვოლჩკოვმა და ხარლამოვმა; „კრილია სოვეტოვიდან“ — ბოდუნოვმა (2) და ლებედევმა.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ცსკა და „დინამო“, ეს გადამწყვეტი მატჩი კი დღეს გაიმართება ცსკა-ს სპორტის სასახლეში.

ნოვოროსიისკი ესტაფეტას ხვდება

ნოვოროსიისკი, 6 მაისი. (საქდესის კორ. ვ. კალიშევსკი). დღეს ამ გმირ ქალაქში დამთავრდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების 31-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ესტაფეტა. მისმა მონაწილეებმა — მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა ზღვისპირა ქალაქში ჩამოიტანეს მოსკოვში უცნობი ჯარისკაცის საფლავიდან აღებული მიწა.

სამოცმა ბაუმანელმა სპორტსმენმა 1650 კილომეტრი 94 საათში გადალახა. ისინი წყვილებად დარბოდნენ თითო კილომეტრზე. ბრძოლების ადგილებში გამავალ გზაზე — ხარკოვში, ორიოლში, კურსკში, კრასნოდარში, სხვა დიდ და პატარა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებნი გულთბილად ხვდებოდნენ მრავალდღიანი გადარბენის მონაწილეებს. დაუვიწყარი იყო ბაუმანელთა შეხვედრა მასპინძლებთან. მცირე მიწის ლეგენდარული დესანტის ერთ-ერთი გმირი ცეზარ კუნიკოვი სწორედ ბაუმანის სასწავლებლის აღზრდილი იყო. მისი ვაჟი იური ახლა ამ სასწავლებელში მუშაობს.

ნოვოროსიისკელთა და ესტაფეტის მონაწილეთა შეხვედრა გამარჯვების მოედანზე მოეწყო. აქვე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

გადარბენის მონაწილემ, ბაუმანის სასწავლებლის პრორექტორმა სამეცნიერო მუშაობის დარგში, პროფესორმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, 56 წლის კ. კოლესნიკოვმა თქვა: „ნოვოროსიისკის დამცველთა გმირობა საუკუნეების მანძილზე არ წაიშლება ხალხის ხსოვნაში, ნოვოროსიისკი ფერფლიდან აღდგა. დღეს ესაა მშრომელთა ქალაქი — ერთ-ერთი ულამაზესი მთელ შავი ზღვის სანაპიროზე“.

გადარბენის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ნოვოროსიისკის გათავისუფლებისთვის ბრძოლებში დაცემულ გმირთა ძეგლები.

პარტიული მუშაკის ტრიბუნა

ტრადიციები უნდა აღვადგინოთ

სკკპ და საქართველოს კპ XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

სპორტს სიღნაღის რაიონში დიდი ხნის ისტორია აქვს. იყო დრო, რაიონის ცენტრსა და სოფლებში სისტემატურად ეწყობოდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, ლელობურთსა და ფარიკაობაში. სიღნაღში ახლაც ახსოვთ ძველი მოჭიდავეები: ჯუგაანელი ვანო აბულაშვილი და ქვემომაჩხაანელი გიორგი ჭუჭულაშვილი, ცხენოსნები ფორე მჭედლიშვილი, ვლადიმერ ბაგალიშვილი და სოლომონ ხოხონიშვილი.

სამწუხაროდ, რაიონმა ეს მდიდარი ტრადიცია თანდათან დაკარგა, დროთა განმავლობაში თანდათან ჩაკვდა, შენელდა ინტერესი სპორტისადმი. ამიტომ იყო, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ქართულ ჭიდაობაში გამართულ ზონალურ შეჯიბრებაში, რომელშიც კახეთის ექვსი რაიონი მონაწილეობდა, სიღნაღმა თითქმის უკანასკნელი, IV ადგილი დაიკავა. ასეა სპორტის სხვა სახეობებშიც.

ამ ბოლო ხანს თითქოს გამოცოცხლდა რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, ამაღლდა ხელმძღვანელთა მომთხოვნელობა, განმტკიცდა დისციპლინა, მაგრამ ამან ჯერ კიდევ არ მოგვცა საჭირო ეფექტი. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს იმას, რომ სპორტი ადამიანთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ და უმნიშვნელოვანეს საშუალებად გადაიქცეს.

საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და ტექნიკუმებში ფიზკულტურასა და სპორტს ჯერ კიდევ არა აქვს მასობრივი ხასიათი, სათანადო ყურადღება არ ეთმობა მოსწავლეთა სპორტულ დაოსტატებას, მშრომელთა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

ამჟამად ფიზკულტურული კოლექტივები ჩამოყალიბებულია 73 საწარმო-დაწესებულებაში. მათ მომსახურებას უწევენ სპორტული საზოგადოებები „კოლმეურნე", „განთიადი", „სპარტაკი" და სიღნაღის ბავშვთა სპორტული სკოლა.

ახლა ფიზკულტურული კოლექტივების მთელი ყურადღება გადატანილია იქითკენ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მორიგი სპარტაკიადისთვის საქართველოს გუნდების მზადებაში ჩვენმა რაიონმაც შეიტანოს თავისი წვლილი.

ჩვენი რაიონის სპორტსმენებიდან რესპუბლიკურ ღონისძიებებში კარგი მომზადება გამოავლინეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს ქართულ ჭიდაობაში — რ. ჯანიბეგაშვილმა, თავისუფალ ჭიდაობაში — ო. სპანდერაშვილმა, სამბოში — ი. გაგაძემ, კლასიკურ ჭიდაობაში — ფ. ბოქოლიშვილმა და სხვებმა. ორი სპორტსმენი საკავშირო შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა...

ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას საწვრთნელი მუშაობა. რაიონის ნაკრები გუნდები შეჯიბრებებში წლების მანძილზე წარუმატებლად გამოდიან. მაგალითად, შარშან ფეხბურთელთა გუნდი „ცისკარი" (მწვრთნელი თ. ხიზანიშვილი) ზონალურ შეჯიბრებაში მოასპარეზე 16 გუნდს შორის XIII ადგილზე გავიდა, ხოლო მოჭადრაკეთა, მოშშეთა, მაგიდის ჩოგბურთელთა და კალათბურთელთა გუნდები რესპუბლიკურ შეჯიბრებებში საპრიზო ადგილების მიღმა დარჩნენ. ჩამორჩენა გამოწვეულია მწვრთნელთა უპასუხისმგებლობით, ორგანიზაციებში კონტროლის შესუსტებით, სპორტსმენებთან იდეურ-აღმზრდელობითი, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების უხარისხოდ ჩატარებით.

რაიონში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სპორტული კომპლექსების, მარტივი ტიპის მოედნებისა და ბაზების მშენებლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ჯუგაანში, ხირსაში, ბოდბისხევში, ულიანოვკაში და რაიონის სხვა სოფლებში. წნორში ძალიან გაჭიანურდა „კოლმეურნის" გამაჯანსაღებელი სპორტული კომპლექსის მშენებლობა, კეთილმოუწყობელია სიღნაღის საფეხბურთო მინდორი.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა მოისუსტებს სკოლებსა და ტექნიკუმებში. ხშირად ფიზკულტურის მასწავლებლები პრაქტიკულ მეცადინეობებზე გეგმებისა და სპორტული ფორმების გარეშე ცხადდებიან, მოსწავლეებს არ აფასებენ ხუთბალიანი სისტემით, დაბალია გაკვეთილების ხარისხი. კომკავშირელთა ნაწილი სპორტულად მოუმზადებელია...

ორგანიზაციებში მოუგვარებელია კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხი. სპორტის მთელ რიგ სახეობებში — ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში ფიზკულტურის რაიონულ კომიტეტს არ ჰყავს კვალიფიციური მწვრთნელები. ანაგის, ბოდბის კალინინის სახელობის, ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობებსა და ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას დღემდე არ ჰყავთ ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტები, სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკაში, წნორის საკონსერვო და მექანიკურ ქარხნებში ვერ იყენებენ სპორტს, როგორც ჯანმრთელობის აღდგენისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას.

კვალიფიციური კადრების უქმარობა და სათანადო მატერიალური ბაზის უქონლობაა მიზეზი, რომ მაღაროს, ანაგის, ნუკრიანისა და სხვა სოფლების ახალგაზრდები არ მონაწილეობენ რაიონის პირველობებში, ფიზკულტურულ-სპორტულ კოლექტივებს აკლიათ სპორტინვენტარი და ფორმები.

რაიონის ორგანიზაციათა უმეტესობაში უაირათიანად ჯერ კიდევ ვერ იყენებენ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის გამოყოფილ თანხებს. სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირს დღემდე არ აუთვისებია სპორტის განვითარებისთვის გამოყოფილი 900 მანეთი.

თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურება, არ ტარდება ახალგაზრდების პროფილაქტიკა და შემოწმება. ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ექიმები ადგილებზე საჭირო დახმარებას ვერ უწევენ.

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი მართალია, ეხმარებიან სპორტულ ორგანიზაციებს, მაგრამ მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გადავწყვიტეთ, რომ პარტიის სიღნაღის რაიონული კომიტეტის ბიურომ სხდომებზე სისტემატურად იმსჯელოს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობაზე და მისი გაუმჯობესებისთვის ღონისძიებები დასახოს. მიმდინარე წლის 9 იანვარს ბიუროს სხდომამ ყურადღება დაუთმო რაიონში სპორტული მუშაობის მდგომარეობას.

ბიურომ მკაცრად გააკრიტიკა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების „კოლმეურნის", „განთიადის", „სპარტაკის" რაიონული საბჭოების ხელმძღვანელები, ბავშვთა სპორტული სკოლის დირექცია და მათვე დაავალა პრაქტიკული ნაბიჯი გადადგან ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისკენ, სასწრაფოდ აღმოფხვრან მუშაობაში არსებული ყველა ნაკლოვანება, იბრძოლონ სპორტსმენთა რიცხვის ზრდისთვის, მათი დაოსტატებისთვის. მაგრამ მარტო ისინი ამ საქმეს დროულად ვერ მოუვლიან, თუ რაიონის სხვა ხელმძღვანელი ორგანიზაციები ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეს გულთან ახლოს არ მიიტანენ, თუ ყველა არ დავირაზმებით რაიონის სპორტული ტრადიციების აღსადგენად. ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ, რომ კვლავ მტკიცე საძირკველი ჩავუყაროთ ქართულ ჭიდაობას, ცხენოსნობას და სხვა ეროვნულ სახეობებს. ამ მხრივ გარკვეული მუშაობა უნდა ჩაატარონ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა. არც ერთი დაწესებულება, არც ერთი კოლექტივი, არც ერთი სკოლა და საბავშვო ბაღი არ უნდა დარჩეს მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის გარეშე.

სკკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა სპორტის დიდი მნიშვნელობა. ყრილობის გადაწყვეტილებები ჩვენგან მოითხოვს კიდევ უფრო განვავითაროთ და გავაძლიეროთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, ავამაღლოთ თითოეული საბჭოთა მუშაკის პასუხისმგებლობა, ყველას შთავაგონოთ, რომ სპორტი ჯანმრთელობაა, სიცოცხლის გახანგრძლივებაა, პიროვნების ჰარმონიული განვითარებაა. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, იგი შრომისნაყოფიერების ზრდის საწინდარია.

ვ. ქარუმიძე,

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი.

შეჯიბრება პარკში

სიღნაღის კულტურისა და დასვენების პარკში საგაზაფხულო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება მოეწყო. ყველას აჯობა ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის" გუნდმა. II ადგილზეა კოოპერატორთა კოლექტივი, III — ძველი ანაგის კოლმეურნეობის ნაკრები.

* * *

„განთიადის" რაისაბჭოს პირადგუნდურ პირველობაში I ადგილი დაიკავა წნორის მეცხოველეობის კომპლექსის წარმომადგენელმა ჯ. მჭედლიშვილმა — 12 ქულა. II ადგილი ხვდა ლ. ბერიაშვილს (გაზკონტორა) — 11, III — რ. ბაღაშვილს (მექანიკური ქარხანა) — 10.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მექანიკური ქარხნის მოჭადრაკეებმა მოიპოვეს.

თ. კახელიშვილი.
(ჩვენი კორ.).

სიღნაღი.

თელაველთა გამარჯვება

„თეთრი ეტლის" გათამაშების ზონალურ ტურნირში ერთმანეთს შეხვდნენ თელავის მე-4 და წითელი წყაროს 1-ლი საშუალო სკოლების გუნდები. მეტოქეებმა ორი მატჩი ითამაშეს. გაიმარჯვეს თელაველებმა — 5,5:4,5.

გ. ელიოზიშვილი.
(ჩვენი კორ.).

თელავი.

დაწინაურდა კაპანაძე

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის II ტურში მხოლოდ ოთხი პარტია დასრულდა: რ. კაპანაძემ მოუგო გ. მაჭარაშვილს, გ. ზაიჩიკმა — ნ. შოგირაძეს, მ. ჭიპაშვილმა — გ. კალატოზიშვილს, საქართველოს ჩემპიონი ზ. სტურუა ყაიმზე შეუთანხმდა ვ. ვეფხვიშვილს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

III ტურში ყველა დაფაზე მძაფრი ბრძოლა გაიმართა. მხოლოდ ოსტატები ე. უბილავა და დ. ჯანოევი იყვნენ განწყობილი მშვიდობიანად და უკვე მე-15 სვლაზე თანაბარ პოზიციაში დაზავდნენ კიდეც.

საინტერესოდ წარიმართა თბილისის ჩემპიონ დ. გედევანიშვილის შეხვედრა ზაიჩიკთან. სიცილიურ დაცვაში ზაიჩიკმა, რომელიც შავებით თამაშობდა, ხარისხი შესწირა პაიკში. დროებითს ინიციატივას რეალური შედეგები არ მოჰყოლია და მთელი რიგი გაცვლების შემდეგ პარტია გადავიდა დაბოლოებაში, სადაც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ყაიმი იყო მოსალოდნელი. მაგრამ ზაიჩიკმა რამდენიმე უზუსტო სვლა გააკეთა და ახლა გადადებული პოზიციის გადარჩენა საეჭვოა.

ოსტატობის კანდიდატი ჭიპაშვილი კაპანაძეს შეხვდა. ჭიპაშვილმა ვერ მიაგნო თამაშის სწორ გეგმას, ინიციატივის ხელში ჩასაგდებად უხეშად შეცდა და წააგო.

სტურუამ დაამარცხა გ. სიხარულიძე. ვეფხვიშვილმა წააგო გ. ცქიტიშვილთან. გ. გრძელიშვილ — ი. ჩიქოვანის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

მ. ჩიბურდანიძეს ზედმეტი პაიკი აქვს გ. მაჭარაშვილთან შეხვედრაში.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდა კაპანაძე — 2,5 ქულა. 2-2 ქულა მოაგროვეს გრძელიშვილმა და სტურუამ.

დღეს IV ტურია.

ნ. სოროკინი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი.

მასპინძლობდა ზუგდიდი

ზუგდიდში საჭადრაკო ზეიმად იქცა საქართველოს მოსწავლეთა გუნდური პირველობის ფინალი, რომელშიც რვა კოლექტივი მონაწილეობდა.

I ადგილი დამაჯერებლად მოიპოვა თბილისის ნაკრებმა (ი. ეფიმოვი, ზ. აზმაიფარაშვილი, გ. მაღალაშვილი, ა. წულაძე, გ. არჩილია, თ. ბილიხოძე, ა. თოფურია, ქეთევან და ნინო მელაშვილები. მწვრთნელი თ. ლომაია) — 41,5 ქულა 56-დან.

II ადგილზეა ქუთაისის კოლექტივი (პ. მაღლაკელიძე, ფ. ჯანაშია, ბ. კოტრიკაძე, მ. მოდებაძე, გ. გიორგაძე, ე. ხელაძე, ა. ჩოჩია, ირმა აზიანიძე, ეკატერინე ფახიროვა. მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი დ. ჩირაძე) — 34, III — აჭარის ნაკრები (ა. მაკარიძე, ა. გობაძე, ნ. ნიჟარაძე, ა. ზიმრუტიანი, ზ. გოთუა, გ. საპლიხიდი, ა. ვართანიანი, ნინო იმნაძე, ირინა ვიაზმინა. მწვრთნელი გ. ჭანტურია) — 32.

შემდეგ მოდიან: რუსთავი, გორი — 25,5-25,5, ცხაკაია — 25, აფხაზეთი — 20,5, ზუგდიდი — 20. შეჯიბრების დებულების შესაბამისად, გაისად აფხაზეთისა და ზუგდიდის გუნდები I ლიგაში ითამაშებენ.

ცალკელ დაფებზე შედეგები ასეთია: პირველზე I-II ადგილები გაიყვეს გ. თორიამ (ზუგდიდი), ი. ეფიმოვმა — 5,5-5,5 ქულა 7-დან. მეორე დაფაზე I ადგილზეა ზ. აზმაიფარაშვილი — 6,5, მესამეზე — დ. ქარდავა (სოხუმი) — 5, მეოთხეზე — ა. წულაძე — 6,5, მეხუთეზე — გ. გიორგაძე — 6, მეექვსეზე — გ. საპლიხიდი — 5, მეშვიდეზე — ქ. მელაშვილი — 6,5, მერვეზე — ც. ქასოშვილი (გორი) — 6.

საუკეთესო პარტიებისთვის საგანგებო პრიზები მოიპოვეს ნ. იმნაძემ, ჯ. ჯანეზაშვილმა (გორი) და დ. ქარდავამ.

ზუგდიდის სპორტის მესვეურებმა საუცხოოდ მოაწყვეს შეჯიბრება. დასვენების დღეს სტუმრებს დაათვალიერებინეს ფაიფურის ახალი ქარხანა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ნორჩი მოჭადრაკეები შეხვდნენ ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებს. ამ სკოლაში სწავლობდა მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი.

გუშინ კი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები (ზ. აზმაიფარაშვილი, ი. ეფიმოვი, გ. ხაილენკო, გ. არჩილია, ზ. გოთუა, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ნანა ჩხაიძე) მოსკოვს გაემგზავრა, სადაც მატჩ-ტურნირში შეხვდება მოსკოვისა და ლენინგრადის მოსწავლეთა გუნდებს. ეს შეჯიბრება 15 მაისამდე გასტანს.

ს. მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ჭადრაკში.

საბჭოთა მოჭადრაკეთა გზები

მაისში საბჭოთა მოჭადრაკეები ბევრ საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ზოგი მათგანი უკვე ჩაბმულია ბრძოლაში.

ნ. ალექსანდრია და ლ. ბელავენეცი მონაწილეობენ ბუდაპეშტის ქალთა საერთაშორისო ტურნირში. 9 ტურის შემდეგ ლიდერობს მ. ივანკა (უნგრეთი) — 7 ქულა და 1 გადადებული პარტია. ალექსანდრიას 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ხუთშაბათს ბულგარეთში გაემგზავრა დიდოსტატი გ. კუზმინი, რომელიც საინტერესო ტურნირში ითამაშებს.

„შესანიშნავი სამეული" — დიდოსტატები ა. ბელიავსკი, ბ. გულკო და საერთაშორისო ოსტატი ი. რაზუვაევი გაემგზავრნენ კუბაში გენიალური კაპაბლანკას მემორიალში სათამაშოდ.

ო. რომანიშინი, რომელიც ამას წინათ ერევნის საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზის მფლობელი გახდა, გფრ-ში მიიწვიეს.

დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიო ჩემპიონ ა. კარპოვის მონაწილეობა ფიდე-ს პრეზიდენტის, პროფესორ მ. ეივეს დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ოთხთა მატჩ-ტურნირში, რომელიც ამსტერდამში ორ წრედ ჩატარდება. მერე მსოფლიო ჩემპიონი ესპანეთს გაემგზავრება ოსკარის პრიზის მისაღებად (მას ეს ჯილდო შარშან მიეკუთვნა) და ერთდროული თამაშის სეანსებისა და ლექციების გასამართავად.

მაისში კიდევ ორი შეჯიბრება გაიმართება: ნოვგოროდში რუსეთის ფედერაციის ტრადიციული ქალთა საერთაშორისო ტურნირი, იუგოსლავიაში კი სსრ კავშირისა და მასპინძელთა ახალგაზრდული გუნდების მატჩი.

მსოფლიო ჩემპიონების ავტოგრაფით...

„ლელოს" 20 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულმა საჭადრაკო ამოცანამ, როგორც ჩანს, მკითხველები დააინტერესა. რედაქციამ ასზე მეტი წერილი მიიღო. მკითხველებს უნდა მოენახათ ამოცანის ამოხსნის უმოკლესი სწორი გზა.

ამოხსნას მიაგნეს რ. გურულმა (ზესტაფონი), თ. ყულჯანიშვილმა (რუსთავი), ა. ყიფშიძემ (აგუძერა), მ. ქვლივიძემ (საგარეჯო), დ. ჩინჩალაძემ, ა. ხურცილავამ და ნ. ერემაძემ (სამივე — თბილისი). მაგრამ ჯილდოები — საჭადრაკო წიგნები მსოფლიო ჩემპიონების ნ. გაფრინდაშვილისა და ა. კარპოვის ავტოგრაფებით მიიღო მხოლოდ პირველმა სამმა ამომხსნელმა, ვინაიდან მათი წერილები რედაქციას უფრო ადრე მოუვიდა.

ამოცანა შვიდ სვლაში იხსნება. გთავაზობთ ამოხსნას:

1. მf2. I. 1. ... კc2 2. მg4 კe4 3. მe3 (ან 3. მe5) 3. ... კb3 4. მf5 კd5 5. მd4 შამათით ორ სვლაში. II. 1. ... კf5 2. მd1 კd3 3. მe3 კe4 4. მg4! (შავები ცუგცვანგში არიან, არ შეუძლიათ 5. ... კa4-ის თამაში) 4. ... კc6 (d5, g6) 5. მf6 (e5, f1) შამათით ორ სვლაში.

მცდარი კვალია 1. მg3?, 1. ... კd3 2. მh5 კb5! 3. მf6 (f4, g7) კc6 (c4, d7) 4. მg4 კa4! 5. მe3 (e5) კb3 (f5) და შამათი არ არის.

რ. თავარიანი,
საჭადრაკო კომპოზიტორი.

შაშის დაფებთან

სამტრედიელი ჩემპიონი

თბილისში გაიმართა საქართველოს პირველობა ასუჯრიან შაშში ჭაბუკთა შორის. ჩემპიონის სახელი მოიპოვა სამტრედიის რაიონის დაბა კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლემ ბ. ლეგიშვილმა. მან აჯობა 11 მეტოქეს, რომლებთანაც 9,5 ქულა მოაგროვა, ნიჭიერი ყმაწვილი რაიონის განათლების მუშაკთა სახლის შაშის წრეში მეცადინეობს მწვრთნელ ა. გრიგოლიასთან.

II ადგილი ხვდა ზ. სოფიას (გალი), III — საქართველოს შარშანდელ ჩემპიონს გ. კურდღელიას (ფოთი).

გ. არჩილია,

დიდ თარიღს მიეძღვნა

თელავის პიონერთა სახლის მოშაშეთა ტურნირი ლენინის დაბადების 106-ე წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში 12 სკოლის გუნდები მონაწილეობდნენ. I ადგილი და თასი ყარაჯალელმა მოსწავლეებმა მოიპოვეს.

გ. გურამიშვილი.
(ჩვენი კორ.).

თელავი.

ფეხბურთი

შეტევა ფლანგიდან — გოლი!

საბჭოთა კავშირის თასი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 5 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 3:0 (0:0).

„დინამო“: გოგია, ხიზანიშვილი (ებრალიძე), ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე (გ. მაჩაიძე), ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია.

„ზენიტი“: ოლეინიკი, დავიდოვი, ლოხოვი, გოლუბევი, დეკტეროვი, სტრეპეტოვი, ბულავინი, ბელოვი (ლარიონოვი), რედკოუსი (ორლოვი), მელნიკოვი, ხრომჩენკოვი.

მსაჯი კ. ვიხროვი (კიევი).

საკავშირო ჩემპიონატის პირველი ორი მატჩის რეცენზენტები ხაზს უსვამდნენ, რომ თბილისის „დინამო“ წლეულს ურიგოდ არაა მომზადებული სეზონისთვის, აშკარად ჩანს პროგრესი, გამოცდილი მოთამაშეებისა და ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებულ გუნდს შეუძლია წარმატებით იბრძოლოს მომავალ რთულ შეჯიბრებებში.

თავისთავად იმ ორი მატჩის ტექნიკური შედეგები (1:1 — ცსკა-სთან და 1:0 — „სპარტაკთან“) რაღაც განსაკუთრებული ოპტიმისტური აღმაფრენის საბაბს ვერ იძლეოდა და, როცა დინამოელებმა მომდევნო შეხვედრები ზედიზედ წააგეს ლენინგრადსა და მინსკში, გულშემატკივართა შორის ბუნებრივად წამოიჭრა საკითხი: რაში ჩანს ეს პროგრესი, კარგი მომზადება, ან სადაა წინსვლის გარანტია, როცა გუნდი სტუმრად უეჭველად აგებს, საკუთარ მინდორზე ამ მარცხის სრულ კომპენსაციასაც ვერ ახერხებს და კვლავ შარშანდელი საშუალო ადგილების ტყვეობაშია?

მართლაც, სადაა ლოგიკა! ციფრები, ფაქტები, ბოლო წლების გამოცდილება მეტყველებენ, რომ კრიზისისგან თავის დაღწევამდე ჯერ კიდევ შორსაა, მდგომარეობა კვლავ მძიმეა, ამიტომ ზარების რეკვა, მეტი რომ არა ვთქვათ, ნაადრევია.

ჩვენ არც ვაპირებთ ზარების რეკვას. საამისო დღესასწაული თბილისის „დინამოში“ ჯერ არ დაგვდგომია, მაგრამ თავს ნებას ვაძლევთ მხარი დავუჭიროთ მათ, ვინც ამტკიცებს, პროგრესი გუნდის თამაშში ჩანს და არის კრიზისისგან თავის დაღწევის პერსპექტივებიო.

შევეცდებით ყველაფერი ეს განვმარტოთ ლენინგრადის „ზენიტთან“ სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩის ფონზე. რა თქმა უნდა, მოგებული თამაში ამ შემთხვევაში ხელს გვიწყობს უფრო იმედიანად და დარწმუნებულად ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რისი დამტკიცებაც გვსურს, მაგრამ ყოველ მოგებას თავისი კანონზომიერებანი აქვს, ისინი კი ახლანდელი გუნდის სასარგებლოდ მეტყველებენ.

თბილისის „დინამოში“ მაღალი სპორტული ფორმის კონდიციებს სულ უფრო უახლოვდებიან ახალგაზრდა მოთამაშეები ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, ჩივაძე, რომლებიც თამაშიდან თამაშამდე იმაღლებენ ოსტატობის დონეს. განვლილ მატჩში ოთხივემ საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა, თითქმის უშეცდომოდ, ენერგიულად მოქმედებდნენ დაცვის ფლანგებზე ხიზანიშვილი და მუჯირი, მათი დახმარება არ აკლდათ არც გამოცდილ მცველებს ჭელიძესა და ხინჩაგაშვილს, არც წინა ხაზების მოთამაშეებს. ნახევარდაცვაში საინტერესოდ, ტაქტიკურად, გამართულად, ზუსტი დისტანციური გადაცემებით ითამაშა ჩივაძემ, შუა მინდორშიც და შეტევის დროსაც ძალიან აქტიური, აგრესიული იყო დარასელია.

ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს საყვედური დინამოელთა ნახევარდაცვის მისამართით და ამ საყვედურებისას ხშირად ვიხსენიებდით მ. მაჩაიძეს. ცენტრალურ ზონაში მ. მაჩაიძე ის მოწინავე ფიგურაა, რომლის თამაშზეც დიდადაა დამოკიდებული გუნდის წარმატება. როცა იგი იცავს ზომიერების ნორმებს თანაგუნდელებთან კონტაქტისას, არ აყოვნებს ბურთს, მონაწილეობს კომბინაციებში, მისი ინდივიდუალური მონაცემები რთული პრობლემების წინაშე აყენებს მოწინააღმდეგეს. ამჯერად კი მ. მაჩაიძე სწორედ კოლექტიური მოთამაშე იყო. ჩვენ საგანგებოდ ვითვლიდით: პირველი სამი ბურთი მან დაუყოვნებლივ გაითამაშა პარტნიორებთან, შემდეგ ასევე რაციონალურად ითამაშა მეოთხე, მეხუთე შემთხვევებში, მერე კი სათვალავს წერტილი დავუსვით, ვინაიდან საამისო საჭიროება აღარ იყო.

საყოველთაო მოწონება დაიმსახურა ქორიძემაც. იგი, უდავოდ, კარგ ფორმაშია, რამდენიმე რთულ ამოცანას წყვეტს ერთდროულად, ხოლო გოლი, რომელიც მან გაიტანა, მატჩის ნამდვილი მშვენება იყო.

თავდასხმაში პრიორიტეტი, ჩვენი აზრით, გუცაევს უნდა მივაკუთვნოთ. „დინამოს“ მარჯვენა გარემარბი ფლანგური გარღვევების დიდი ოსტატია, მისი რეიდებისას მოპირდაპირე დაცვას გაძლიერებული ძალებით უხდებოდა ბრძოლა, ეს კი საშუალებას უქმნიდა ქორიძეს და ხიზანიშვილს (შემდგომში ამას კარგად აკეთებდა ებრალიძეც) ეფექტურად, სარგებლიანად ჩაბმულიყვნენ იერიშში. ამ ფლანგურ შეტევებზე ჩვენ ქვემოთაც შევჩერდებით, მაგრამ, რახან საუბარი თავდასხმაზე გვაქვს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, თავისი მდიდარი შესაძლებლობების დონეზე ჯერჯერობით ვერ დგას ყიფიანი. ჩვენს ცენტრალურ თავდამსხმელს ბევრი რამ შეუძლია, მისი ტექნიკური შესაძლებლობანი შეუზღუდავია, კარში დარტყმები — უაღრესად საშიში, მაგრამ ყიფიანი ხშირად გაუმართლებლად იხევს უკან (თუმცა, ამ მატჩში, ეს ნაკლებად იყო), რის გამოც დროზე ვერ ასწრებს შეტევის გადამწყვეტ მომენტებში. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს დროებითი ლაფსუსებია.

ზევით ჩვენ ვახსენეთ „დინამოს“ ფლანგური გარღვევები. შეტევის დროს, ვფიქრობთ, უმაღლეს ლიგაში არც ერთ გუნდს არა აქვს ათვისებული ეს მანევრი ისე კარგად, როგორც თბილისელებს. გაიხსენეთ, როგორ ტყუპისცალებივით ჰგავდა ერთმანეთს „ზენიტის“ კარში გატანილი პირველი ორი გოლი: 48-ე წუთზე მ. მაჩაიძემ სწრაფი რეიდი შეასრულა მარცხენა ფლანგზე, ზუსტად გადასცა ბურთი ცენტრში ქორიძეს და ანგარიში გაიხსნა, წუთის მერე კი ანალოგიური გარღვევა მოახდინა გუცაევმა, რომლის წამოწყებული საქმე ოსტატურად დაამთავრა ჩივაძემ.

მესამე გოლი ლენინგრადელთა კარში ფაქტიურად ორ მოთამაშეს ეკუთვნოდა — დარასელიას და ყიფიანს. დარასელია მარჯვენა ფლანგზე გაექცა მცველებს, ოლეინიკმა ვერ შეძლო მისი დარტყმის აღება და ყიფიანმა ბურთს ზედ კარის ხაზზე მიუსწრო, ხოლო შემდეგ ყიფიანს შეეძლო ზუსტად ასეთივე გადაცემა გამოეყენებინა გუცაევის ფლანგური გარღვევის შედეგად და მეოთხე გოლიც გარდაუვალი იქნებოდა.

საერთოდ, დინამოელებმა უკეთ უნდა დაამუშაონ გუცაევის იმ გარღვევების დაბოლოება, რომლებსაც იგი სისტემატურად ასრულებს ფლანგიდან. ამის გამო ყოველ მატჩში ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა იკარგება უნაყოფოდ.

განვლილი მატჩი არ მიეკუთვნება იოლად მოსაგებთა კატეგორიას. პირველი ტაიმის საგრძნობი ნაწილი დინამოელებმა ცუდად ჩაატარეს, ლენინგრადელთა კონტრშეტევები ხშირი და სახიფათო იყო, კარგი მომენტები ჰქონდათ მელნიკოვს, ხრომჩენკოვს, რედკოუსს, მაგრამ არც თამაშის საბოლოო შედეგში, არც დინამოელთა უპირატესობაში ეჭვი არავის შეეპარება: იგი მოგებულია ყველა საფეხბურთო კომპონენტის შესატყვისად.

გ. ქორქია.

* * *

ლენინგრადელებთან მატჩში კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა თბილისელმა ფეხბურთელებმა. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ, როგორ გააქვს „ზენიტის“ კარში მეორე ბურთი ა. ჩივაძეს. მარჯვნივ — ვ. დარასელია (მუქ მაისურში) მეტოქესთან ბრძოლის დროს.

ი. იუნაევის ფოტოები.

თასის მატჩები

5 მაისს შედგა თასის სხვა მერვედფინალური მატჩებიც.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაში მოსკოვში ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და ერევნის „არარატს“ შორის. ლაზარიანის მიერ დამატებით დროში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა „არარატს“.

დამატებითი დრო დაჭირდა ვოროშილოვგრადის „ზარიასა“ და დონეცკის „შახტიორს“ შორის გამარჯვებულის გამოვლენასაც. გაიმარჯვა „შახტიორმა“ — 1:0. (გოლი — გოლოვინი).

ლვოვის „კარპატიმ“ შინ ანგარიშით 1:0 დაამარცხა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“. ბურთი გაიტანა კიკოტმა.

გუშინწინ სიმფეროპოლში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტავრია“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“. რომანიუკის მიერ ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა გამარჯვება მოუტანა „დნეპრს“ — 1:0. 32-ე წუთზე „დნეპრის“ მეკარე კოლტუნმა აიღო კოროლის მიერ დარტყმული პენალტი.

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა I ზონა

3 მაისს ერევანში ადგილობრივი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი ლანჩხუთის „გურიას“ შეხვდა.

მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

მინიმალური ანგარიშით

ათენი, 6 მაისი. საბერძნეთისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი ბერძენმა ფეხბურთელებმა მოიგეს — 1:0.

„ანდერლეხტის“ დიდი წარმატება

5 მაისს ბრიუსელში 65 ათასი მაყურებელ დაესწრო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩს. შეხვედრის ტელეტრანსლაცია კონტინენტის ბევრ ქვეყანაში მოეწყო.

პრიზს ერთმანეთს ეცილებოდნენ ბრიუსელის „ანდერლეხტი“ და ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“. ბელგიელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ პირველ წარმატებას სტუმრებმა მიაღწიეს: ჰოლანდმა 28-ე წუთზე ანგარიში გახსნა. ეს გოლი შესვენებამდე 2 წუთით ადრე გაქვითა „ანდერლეხტის“ ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რენსენბრინკმა.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და ბელგიელები დააწინაურა ვან დერ ელსტმა, 68-ე წუთისთვის კი რობსონმა თანაფარდობა აღადგინა — 2:2.

დარჩენილ დროში „ანდერლეხტი“ განუწყვეტლივ უტევდა, ერთ-ერთი იერიშისას რენსენბრინკს უხეშად ეთამაშნენ „ვესტ ჰემის“ მცველები და „დაზარალებულმა“ ზუსტად დაარტყა პენალტი — 3:2.

ინგლისელები ძალების დაუზოგავად უტევდნენ მეტოქეს, ბურთი სამჯერ მოხვდა „ანდერლეხტის“ კარის ძელს, მაგრამ მაშინ, როცა მსაჯის საფინალო სასტვენს 2 წუთი აკლდა, ვან დერ ელსტმა მეოთხედ აიღო მეტოქის კარი — 4:2.

ევროპის თასების მფლობელთა თასი წილად ხვდათ ბელგიელებს.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „განთიადი“ (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:2. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

თბილისელები დასაწყისში განუწყვეტლივ უტევდნენ მეტოქის კარს და ანგარიშიც მალე გაიხსნა: გაგუამ ახლო მანძილიდან დაარტყა ბურთი „მადნეულის“ კარში. ბოლნისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარუმატებლობას ისინი არ შეუშინდნენ, კოლექტიურად, ენერგიულად ითამაშეს და სავსებით დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ანგარიში გაათანაბრა მუშკუდიანმა, ხოლო გადამწყვეტი ბურთი ხუციშვილმა გაიტანა.

● „ნადიკვარი“ (თელავი) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:0. მსაჯი გ. დოლენჯაშვილი (თბილისი).

მასპინძლები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, რაც მათი დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა (კობაიძე, კირვალიძე, ცირეკიძე).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ასკ (თბილისი) 4:1. მსაჯი ა. გოლავა (სოხუმი).

უკვე პირველი 15 წუთის განმავლობაში სტუდენტებმა ზედიზედ 3 ბურთი გაიტანეს (მეგრელაძე — 2, ციკოლია), შემდეგ კი მუმლაძემ მეოთხე ბურთი შეაგდო მოპირდაპირე კარში. შესვენების შემდეგ არმიელმა ხოფერიამ ერთი გოლი გაქვითა.

● პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

გოლი 75-ე წუთზე გაიტანა კილაძემ.

● „ივერია“ (ხაშური) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

ნოზაძემ და ლომსაძემ მე-17 წუთისთვის 2 ბურთი გაიტანეს „ქართლის“ კარში და ეს ანგარიში მატჩის ბოლომდე აღარ შეცვლილა.

● „მერცხალი“ (მახარაძე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:0. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

მახარაძელმა ფეხბურთელებმა თავიანთი დიდი ტერიტორიული უპირატესობის გამოყენება პირველ ტაიმში ვერ შეძლეს. 2 ქულა მათ აიღეს მხოლოდ პენალტის მეოხებით, რომელიც წიკლაურმა გამოიყენა.

● „დინამო“ (სოხუმი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:0. მსაჯი ზ. თოდიძე (ქუთაისი).

ანგარიში გახსნა ხარტაკოპულომ, ხოლო შემდეგ ჟანავამ მეორედ აიღო „შუქურის“ კარი.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0. მსაჯი ნ. ზავიშვილი (ბათუმი).

თამაში მიმდინარეობდა საინტერესოდ, მაღალ სპორტულ დონეზე. 32-ე წუთზე გეგეჭკორელმა გაგუამ ზუსტად დაარტყა ბურთი „კოლხეთის“ კარში და ამ გოლმა გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი.

● „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:2. მსაჯი თ. ერგემლიძე (ტყიბული).

სტუმრებმა აქტიურად ითამაშეს პირველ ნახევარში და თავიანთს სასარგებლოდ დაამთავრეს იგი (მაცაბერიძე, ბოჭორიშვილი). შესვენების შემდეგ წალენჯიხელები ბევრს უტევდნენ, მათს სასარგებლოდ 11-მეტრიანი დარტყმაც დაინიშნა, მაგრამ ხარაბაძემ მიზანს ააცდინა ბურთი.

● „კოლხეთი“ (ხობი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ხობელთა უპირატესობა უდავო იყო. ფარცვანიამ, ქავთარაძემ და ნ. გვასალიამ შესვენებამდე 3 ბურთი გაიტანეს, მატჩის დასასრულს კი ნ. გვასალიამ კიდევ ერთხელ მიაღწია წარმატებას.

● „ცისარტყელა“ (წულუკიძე) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:3. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს სილაგაძემ, ბოჭორიშვილმა და თოდიძემ.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 8 მაისისთვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ნადიკვარი“	7	5	0	2	14—4	10
ფიზკ. ინსტ.	7	5	0	2	16—10	10
„ივერია“	7	4	2	1	9—4	10
„განთიადი“	8	3	4	1	8—5	10
უნივერსიტეტი	7	3	2	2	7—5	8
„მადნეული“	8	3	2	3	9—8	8
„დურუჯი“	7	1	3	3	6—9	5
პოლიტექნ. ინსტ.	7	2	1	4	8—13	5
ასკ	5	1	2	2	5—8	4
„ვარძია“	6	1	2	3	3—9	4
„ქართლი“	7	0	2	5	2—12	2

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	8	5	2	1	20—7	12
„მერცხალი“	8	6	0	2	10—5	12
„სალხინო“	8	4	4	0	9—4	12
„მეშახტე“	8	4	2	2	12—6	10
„ცისარტყელა“	8	4	1	3	7—10	9
„კოლხეთი“ ფ.	8	2	4	2	6—5	8
„ეგრისი“	8	3	2	3	6—7	8
„კოლხეთი“ ხ.	8	2	3	3	9—8	7
„მეტალურგი“	8	2	2	4	9—12	6
„ამირანი“	8	2	1	5	8—16	5
„კოლმეურნე“	8	1	2	5	6—14	4
„შუქურა“	8	1	1	6	5—13	3

საჯარიმო ფურცელი

განვლილი ტურის მატჩებში გაფრთხილება მიეცათ: ზესტაფონელ ე. სილაგავას, წალენჯიხელ დ. ღვინჯილიას, თელაველ რ. აბდულაევს, ასპინძელ დ. ტონაკანიანს და ფოთელ ა. კაპარავას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე დაიწყო ისტორია

◆

„საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი“ საველოსიპედო სპრინტში

◆

მიუხედავად იმისა, რომ ამინდი გუშინწინ თბილისში ერთობ ჭირვეული იყო, ერთი საინტერესო საერთაშორისო ტურნირის ისტორია მაინც წარმატებით დაიწყო: საფუძველი ჩაეყარა ველოსპრინტერთა ახალ შეჯიბრებას „საქართველოს ტელევიზიის დიდ პრიზზე“. შვიდმა ქვეყანამ წარმოადგინა სავიზიტო ბარათები, რაც დამფუძნებელი ტურნირისთვის საკმარისიც არის და საპატიოც.

რა თქმა უნდა, შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე ვერ ვიხილეთ მსოფლიოს სპრინტის ყველა ვარსკვლავი. სხვათა შორის, ასე არც ხდება სპორტში. დასაწყისს მუდამ თან ახლავს გაურკვეველი გრძნობა და იჭვი: ვაითუ უქმად დაიკარგოს დღეები, ვაითუ ღირსეულმა კონკურენტებმა არ მოიყარონ თავი და დრო, რომელიც ასე ცოტა დარჩა სეზონის მთავარ სტარტამდე, უნაყოფოდ გაიფლანგოს.

...მაშ ასე, ერთი მთავარი პრიზი, შვიდი გუნდი და ოცდარვა მონაწილე. საბჭოთა კავშირი ამ ასპარეზობაში, ცხადია, მთლიანი შემადგენლობით მონაწილეობს. არ გამოდის მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის ვერცხლის პრიზიორი ს. კრავცოვი. ნაკრების ხელმძღვანელობამ იგი დროებით გაათავისუფლა შეკრებიდან. პოლონეთმა, უნგრეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, ჩეხოსლოვაკიამ და ბულგარეთმა თბილისში თითქმის ყველა უძლიერესი სპრინტერი ჩამოიყვანეს. იტალიელთა გუნდს ხელმძღვანელობს რამდენიმე ათეული მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის აღმზრდელი გ. კოსტა. „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის“ გათამაშებაში მას გამოჰყავს ახალგაზრდები, გუშინდელი ჭაბუკები და იუნიორები.

ერთი მათგანია ო. დაცანი — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იუნიორებში. სხვათა შორის, დაცანი არგენტინაში ცხოვრობდა და ეს ტიტულები არგენტინის სახელით მიიღო. მაგრამ, როგორც კი 18 წლისა შესრულდა, სამშობლოში დაბრუნდა და ახლა მის სპორტულ ღირსებას იცავს. ქ. ბაგარელო იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონი იყო 1973 წელს. ახალგაზრდა ველოსიპედისტია ა. ფიორენტინიც, რომელმაც „პარიზის დიდი პრიზის“ გათამაშებაში V ადგილი დაიკავა. ამ ტურნირში მოყვარულებთან ერთად პროფესიონალებიც ასპარეზობენ, ასე რომ, მისი ავტორიტეტი საერთაშორისო სარბიელზე ერთობ დიდია.

სხვა ქვეყნების წარმომადგენელთაგან უნდა აღვნიშნოთ ა. ტკაჩი (ჩეხოსლოვაკია) — 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ბ. კოცატი (პოლონეთი) — „სოციალისტური ქვეყნების დიდი პრიზის“ მფლობელი, ვ. სემენეცი (სსრ კავშირი) — ოლიმპიური ჩემპიონი ტანდემებით რბოლაში, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი და 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ა. იაბლუნოვსკი და სხვები. ერთი სიტყვით, ტურნირის მონაწილეებს ტიტულები არ აკლიათ.

წინასწარ შეხვედრებს რამდენიმე მოულოდნელი შედეგი მოჰყვა. პირველი სენსაცია მაყურებლებსა და შეჯიბრების მონაწილეებს შესთავაზა ახალგაზრდა თბილისელმა ოსტატმა ი. ვოლკოვმა. ტკაჩთან ბრძოლა მან გაბედულად დაიწყო და, როცა არავინ ელოდა, გაექცა მრისხანე მეტოქეს. ფინიშამდე ჯერ კიდევ კარგა დიდი მანძილი იყო და მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გამოდევნება სცადა, მაგრამ მალე შეწყვიტა ბრძოლა. ვოლკოვი წინ იყო, სულ ცოტა, 50 მეტრით.

მოულოდნელი იყო ფიორენტინისა და ბაგარელოს დამარცხება. პირველმა წააგო ა. ვორონინთან, მეორემ — ს. კომელკოვთან (ორივე — სსრ კავშირი).

მერვედფინალში ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავი ვოლკოვმა. ამჯერად მას მეოთხედფინალისკენ მიმავალი გზის გაკვლევა მოუხდა კოცატთან და მ. ვიმაზალთან (ჩეხოსლოვაკია) ჭიდილში. ვოლკოვმა ახლაც გაბედულ ტაქტიკას მიმართა, შეტევა დაიწყო მაშინ, როცა მეტოქეები ერთმანეთის კონტროლით იყვნენ გართული. ხოლო, როცა ისინი გონს მოვიდნენ, დაწინაურებულის ზურგს მოჰკრეს თვალი მხოლოდ. თბილისელმა ოსტატმა ეს რბოლაც მოიგო და მოიპოვა ადგილი მეოთხედფინალში.

პირველივე ცდით მოხვდნენ მეოთხედფინალში იაბლუნოვსკი, კომელკოვი, ვორონინი, ვ. კოპილოვი (ყველა — სსრ კავშირი) და ზ. შრაიბერი (გდრ). ამ უკანასკნელმა რთულ ტაქტიკურ ბრძოლაში დაამარცხა ო. გუძიმი (სსრ კავშირი) და ი. კუჩერეკი (ჩეხოსლოვაკია).

ვაკანტური დარჩა ორი ადგილი, მეოთხედფინალში გასვლაზე კი პრეტენზიას თორმეტი ველოსიპედისტი აცხადებდა. მათთვის დაინიშნა სანუგეშო სერიები ნახევარფინალებითა და ფინალით. სემენეცმა დაამარცხა ტკაჩი და ფიორენტინი, გუძიმმა — ვიმაზალი და ი. კოლტინსკი (პოლონეთი). ორივე საბჭოთა ველოსიპედისტი, აგრეთვე, კუჩერეკი და კოცატი გავიდნენ სანუგეშო რბოლის შემდგომ ეტაპზე, რომელსაც უნდა დაესახელებინა მეოთხედფინალისტები.

და აი, საასპარეზოდ გამოდიან სემენეცი — კუჩერეკი და გუძიმი — კოცატი. საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა ორივე რბოლაში უდავო იყო.

მთავარი პრიზისთვის ასპარეზობას განაგრძობენ იაბლუნოვსკი, კომელკოვი, ვოლკოვი, კოპილოვი, ვორონინი, სემენეცი, გუძიმი და ერთადერთი უცხოელი სპრინტერი შრაიბერი. როგორც ხედავთ, სსრ კავშირის ნაკრები ჯერჯერობით უდანაკარგოდ იბრძვის — ყველა მონაწილე მეოთხედფინალშია. დანარჩენმა ველოსიპედისტებმა მომდევნო ადგილებისთვის უნდა იბრძოლონ.

ნ. ახვლედიანი.

მიხეილ ამნიაშვილი

საქართველოს ფიზკულტურულმა მოძრაობამ დიდი დანაკლისი განიცადა: მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მიხეილ გიორგის ძე ამნიაშვილი — კაცი, რომლის როლი რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში, რომლის მიერ მოპოვებული საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა გადაუჭარბებლად ძნელია შეაფასო.

მიხეილ ამნიაშვილი დაიბადა 1908 წელს თბილისში. მშრომელ ოჯახში (მიხეილის მამა 57 წელიწადს დურგლად მუშაობდა საოპერო თეატრში) ბავშვობიდანვე ჩაეყარა საძირკველი მისი ხასიათის განმასხვავებელ მხარეებს — შრომისმოყვარეობას, თავმდაბლობას, გამუდმებულ მიზანსწრაფვას.

მისი შრომის გზა სკოლის დამთავრებიდანვე, 1926 წლიდან დაიწყო. ჯერ ელექტრომონტიორად მუშაობდა, ერთი წლის მერე კი სტუდენტიც გახდა, მუშაობდა და სწავლობდა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების მერე, 1931-37 წლებში, ახალგაზრდა აგრონომი-მექანიზატორი სხვადასხვა საბჭოთა მეურნეობასა და დაწესებულებაში საქმიანობს. მაგრამ ამ პერიოდისთვის მისი ცხოვრების მთავარი მოწოდებაც ნათლად გამოიკვეთა.

მ. ამნიაშვილი ბავშვობიდანვე გატაცებული იყო და წარმატებითაც მეცადინეობდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში — ტანვარჯიშში, კრივში, მძლეოსნობაში, ყველაზე მეტად კი — კალათბურთში. კალათბურთმა იგი „დინამოს“ გუნდში მიიყვანა. ფართო პრაქტიკულმა განათლებამ სპორტში და მაღალმა კულტურამ მიხეილს კეთილი სამსახური გაუწია, საშუალება მისცა, რომ იმავე „დინამოს“ გუნდში მთლიანად მისცემოდა საყვარელ საქმეს — ორგანიზაციულ-მეთოდურ მუშაობას სპორტში.

1937 წლიდან მან მთელი ცხოვრება სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მიუძღვნა, თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე „შესვენებებს“ წითელ არმიაში სამსახურისა და პარტიულ ორგანოებში მუშაობის პერიოდებს. უკვე 1940 წელს, როგორც „დინამოს“ თბილისის საბჭოს თავდაცვით-სპორტული განყოფილების უფროსი, იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქალაქში ამ საზოგადოების ძირითად უბანს — სპორტს. 1954-1974 წლებში, ესე იგი მთელი 20 წლის განმავლობაში, მიხეილი, რომელიც ერთდროულად იყო „დინამოს“ საქართველოს საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი და სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე, ხელმძღვანელობდა რესპუბლიკაში საზოგადოების მთელ სპორტულ მუშაობას.

ეს წლები აღინიშნა საქართველოს სპორტის ბრწყინვალე გამარჯვებებით, ამ წარმატებებში დინამოელთა უდიდესი დამსახურებით.

ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს წარმატებები თავისთავად მოვიდა და დაამშვენა ჩვენი „დინამო“. არც იმის თქმა შეიძლება, რომ „დინამო“ თავის წარმატებებს მხოლოდ და მხოლოდ სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მონდომებას უნდა უმადლოდეს. ეს წარმატება, ყველაფერთან ერთად, განაპირობა თვით „დინამოს“ რესპუბლიკურ საზოგადოებაში საქმიანობის მაღალმა დონემ, გულმოდგინე, ნაყოფიერმა ორგანიზაციულმა მუშაობამ, მეთოდური ხელმძღვანელობის მაღალმა ხარისხმა.

ჩვენ განსაკუთრებული გულისტკივილით ვაცილებთ უკანასკნელ გზაზე მიხეილ ამნიაშვილს, ვინაიდან მისი დამსახურება დიდია ქართული, კერძოდ კი დინამოელთა სპორტის განვითარება-წინსვლაში. გულისტკივილი განსაკუთრებით ღრმაა კიდევ იმიტომ, რომ მიხეილ ამნიაშვილის ორგანიზატორული ნიჭი შერწყმული იყო მაღალ კულტურასთან, პრინციპულობასთან, უჩვეულო თავმდაბლობასთან, ტაქტთან, გულისხმიერებასთან, პასუხისმგებლობის გრძნობასთან. მას შეეძლო უჩვეულოდ ღრმად ჰყვარებოდა თავისი საქმე, ადამიანები. მის ირგვლივ მუდამ უწმინდესი ზნეობრივი ატმოსფერო იყო, რომელიც თითქოს სხვებსაც აკეთილშობილებდა, ზრდიდა.

...კომუნისტური პარტიის წევრს 1942 წლიდან, მიხეილ ამნიაშვილს ხშირად ირჩევდნენ სხვადასხვა პარტიულ ორგანიზაციაში (იყო „დინამოს“ საქართველოს საბჭოს პარტორგანიზაციის მდივანი 1944-49 წლებში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პარტკომის მდივანი, პარტბიუროს წევრი). ორი ათეული წლის მანძილზე მას ირჩევდნენ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში. 1959-1968 წლებში იყო თბილისის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრეზიდიუმის წევრი; 1960-66 წლებში ხელმძღვანელობდა ცურვის რესპუბლიკურ ფედერაციას; 1963 წლიდან სსრ კავშირის ცურვის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი იყო. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ამით არ ამოიწურება.

მიხეილ ამნიაშვილი დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის მაღალი წოდება.

მიხეილ ამნიაშვილმა უმწიკვლო ცხოვრებითა და მოღვაწეობით უკვდავყო თავისი ხსოვნა. წავიდა ჩვენგან კაცი, ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ასრულებდეს ყოველი ადამიანი დედამიწაზე თავის ადამიანურსა და მოქალაქეობრივ მოვალეობას.

საქართველოს სსრ სპორტკომიტეტი;

„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

გავიხსენოთ ვეტერანები!

წერილი რედაქციას

კალათბურთს საქართველოში მდიდარი ტრადიციები აქვს. სწორედ ამ ტრადიციებმა განაპირობა კალათბურთის ესოდენ პოპულარობა რესპუბლიკის ახალგაზრდებში. მაგრამ ამ ახალგაზრდებიდან ბევრს არ უნახავს ჩვენი სახელოვანი ვეტერანების თამაში და მათი „საგმირო საქმენი“ მხოლოდ გადმოცემით იციან. იმისთვის, რომ გავიხსენოთ ქართული კალათბურთის შესანიშნავი ტრადიციები, კარგი იქნება ვეტერანთა ტურნირების მოწყობა. ასეთმა შეჯიბრებებმა სავსებით გაამართლა იმედი ფეხბურთში და ისინი მაყურებელმა ინტერესით მიიღო.

ვეტერან კალათბურთელთა ტურნირების მასშტაბები შეიძლება დაზუსტდეს, დაიხვეწოს. ამას, რა თქმა უნდა, კარგი მოფიქრება სჭირდება, მაგრამ მე მაინც წარმოგიდგენთ სამ ვარიანტს და დავასახელებ შეჯიბრების სავარაუდო მონაწილეებს.

პირველი ვარიანტი: თბილისის საქალაქო ტურნირი. მონაწილეობა შეუძლიათ „დინამოს“ (2 გუნდით), საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და უნივერსიტეტს.

მეორე ვარიანტი: რესპუბლიკური ტურნირი. მონაწილეთა სია შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: თბილისის ყველა ზემოთ დასახელებული გუნდი, აგრეთვე, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ფოთის ნაკრები კოლექტივები.

მესამე ვარიანტი: საკავშირო ტურნირი. მონაწილეობა შეუძლიათ მოსკოვის არმიელებსა და „დინამოს“, ლენინგრადის „სპარტაკს“, კაუნასის „ჟალგირისს“, ტარტუს „კალევს“, კიევის „სტროიტელს“, თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკს“.

შეიძლება საქმე დავიწყოთ პირველი ვარიანტით და შემდგომ მისი მასშტაბები გავზარდოთ მეორე ან მესამე ვარიანტების შესაბამისად.

კარგი იქნება, თუ ტურნირს დავარქმევთ წარსულში ცნობილი კალათბურთელისა და მწვრთნელის მიხეილ ქეკელიძის სახელს.

თუ ამ წერილს გამოეხმაურებიან ვეტერანი კალათბურთელები, გულშემატკივრები და დაინტერესებული ორგანიზაციები, პირველი ტურნირის ჩატარების ორგანიზაციას ვიკისრებთ ჩვენ, მიხეილ ქეკელიძის აღზრდილები — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვეტერანი კალათბურთელები.

ა. საკანდელიძე,
სპორტის ოსტატი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

შეჯიბრება უდაბნოში

თურქმენეთის დედაქალაქში, კოპეტ-დაღის ძირში, ყარაყუმის უდაბნოს ქვიშაში რომ არის აღმართული, პირველად გათამაშდა სსრ კავშირის თასი... წყალქვეშ შეჯიბრებაში. წყალქვეშ ორიენტირების ოსტატთა 14 უძლიერესი გუნდი ასპარეზობდა ყარაყუმის არხზე შექმნილ წყალსაცავში.

გუნდური გამარჯვება მოიპოვა ნოვოსიბირსკის ნაკრებმა. პირად ჩათვლაშიც ყველაზე მეტი წარმატება ამ ქალაქის სპორტსმენებს ხვდათ: ოქროს მედალი მოიპოვა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ა. სალმინმა. ვერცხლის ჯილდო ხვდა 17 წლის მოსწავლეს ს. ტრუნევს, ბრინჯაოსი — კიეველ ვ. ლიხაჩოვს.

ქალთა შეჯიბრებაში პირველობდა ასევე ნოვოსიბირსკელი სპორტსმენი ლ. ლიტვინა. II ადგილზეა ტალინელი ქ. კირში, III — ნოვოსიბირსკელი ს. ვალოვა.

გ. კაცი.
(საქდესის კორ.).
აშხაბადი.

„სამთო-სათხილამურო სპორტის კოლუმბი“

ჟენევა. (საქდესი). ციურიხის გაზეთ „შპორტის“ მიმომხილველის მარტინ მაიერის წერილი „სამთო-სათხილამურო სპორტის კოლუმბი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობის დაბადების ისტორიას ეხება.

მატიას ზდარსკის სახელი ბევრისთვის როდია ცნობილი. აი, მისი მიმზიდველი ცხოვრების ისტორია:

ზდარსკი ის კაცია, ვინც სამთო-სათხილამურო სპორტი აღმოაჩინა. ქვემო ავსტრიის პატარა ქალაქ ლილიენფელდში მისი დაბადებიდან 120-ე წლისთავს ზეიმობენ.

როცა ზდარსკიმ გრენლანდიაში ნორვეგიელი ნანსენის მოგზაურობის ამბავი გაიგო, წყვილი თხილამური შეიძინა. ეს იყო ორი უშნო, სამმეტრიანი ურჩხული, რომლებიც თითქმის 5 კილოგრამს იწონიდა. იმ დროს თხილამურებით ხრიალი თითქმის ისევე უპრეცედენტო შემთხვევა იყო, როგორც მთვარეზე გაფრენა.

მატიას ზდარსკი ექვსი ზამთრის განმავლობაში სწავლობდა თხილამურებით სრიალს. 1896 წელს მან გამოაქვეყნა თავისი პირველი სახელმძღვანელო „სამთო-სათხილამურო სპორტის ტექნიკა“.

ერთნი აქებდნენ მას, მეორენი დასცინოდნენ. ერთნი გენიოსს ეძახდნენ, მეორენი გიჟად მიიჩნევდნენ, შეშლილიაო, ამტკიცებდნენ. იმ დროისთვის სამთო-სათხილამურო ტექნიკა განვითარების პირველ საფეხურზე იდგა.

იმ დროს თხილამურებით სასრიალოდ ერთ გრძელ ჯოხს იყენებდნენ, რომელსაც ან მარჯვნივ, ან მარცხნივ ხმარობდნენ. სწორზე სრიალის დროს ჯოხი წონასწორობის დასაცავად ხელში ეჭირათ, დამუხრუჭებისას კი თხილამურებს შორის არჭობდნენ და მთელი ტანით ეყრდნობოდნენ.

ზდარსკიმ ხისა და ტყავის 200-ზე მეტი სხვადასხვა თხილამურების სამაგრი გამოსცადა, ვიდრე მათს გაკეთებას ლითონისგან დაიწყებდნენ. დაქანებულ ფერდობზე არ სრიალებდნენ. გზას ყველა თავისთვის კვალავდა. რა თქმა უნდა, ამწევები მაშინ არ იყო.

მატიას ზდარსკის უფრო გვიანი წლების სურათებიდან თეთრწვერა სწავლულის სახე შემოგვცქერის. ზდარსკი 1940 წელს გარდაიცვალა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. 8 მაისი. საქართველოს ჩემპიონატი. უნივერსიტეტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური). დასაწყისი 12 ს.

12 მაისს

საქართველოს პროფსაბჭოს სხდომათა დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) გაიმართება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი.

დღის წესრიგი:

„განთიადის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე საკავშირო პროფსაბჭოს X პლენუმის დადგენილებათა შესრულებაში (მომხსენებელი ა. გიორგობიანი).

დასაწყისი 12 ს.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 08830